პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 ხუთშაბათი 11 აგვისტო № 186 (16926) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთწლედის აღამიანები

ჩვენი რესპუბლიკის ქარხნებსა და ფაბრიკებში მიმდინარებს და ბალ-ვენახებში ფართოდ გაჩაღდა დიდი ოქტომბრის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. დღეს ჩვენს [illegible] ტყეურის, [illegible] ავრცელებ ფოტოსურათებს. ერთი [illegible] მეორე [illegible] [illegible] [illegible] მაგრამ ერთია იდეა — გამოუშვან რაც შეიძლება მეტი პროდუქცია, წარმატებით დაამთავრონ ხუთწლედის მეორე წელი.

ვახტანგ არაბიძე (ზემო სურათი) — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მეოთხე საამქროს 26-ე ლ. მელის ბრიგადის ხელმძღვანელია. კომუნისტი, საამქროს პარტკომუფორგი, იგი მუდამ მოწინავეა. მისმა ბრიგადამ წარმატებით შეასრულა შვიდი თვის გეგმა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 300 ტონა ლითონი, დაზოგილია ათიათასობით კილოვატსაათი ელექტროენერგია.

მეორე სურათზე — რაიონის ერთ-ერთი საუკეთესო მექანიკი გრიგოლ გოგბერაშვილი, დიდი სამამულო ომის მონაწილე, სოფელ კვალითის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. წელს ვალდებულება იკისრა 0,43 ჰექტარ ნაკვეთზე მოიწიოს და სამშობლოს ჩაბაროს ხულ ცოტა 10 ტონა უურძენი.

ვლ. გინზბურგის ფოტო და ტელეტა.

ჩვენი შრომითი კოლექტივი

ჩემი ქარხანა ჩემი სიამაყეა! — აი დევიზი ახალი პატრიოტული თაოსნობისა, რომელიც ამ დღეებში, სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს იშვა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ მოწინავე შრომითს კოლექტივში — თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში. ამ თაოსნობისადმი მიძღვნილ თემატურ სალაზარდა ავიამშენებლებიც, რომელთაც აქ საპატიო შრომითი ისტაფეტა გადასცეს, ცნობილმა ნოვატორმა ხარატმა ტ. როსტიაშვილმა ასე გამოხატა თანამოსაქმეთა გულისნადები:

„ეს ჩემი ძალაკის, რაიონის, ჩემი შრომითი კოლექტივის საბჭოთა ქვეყნის კონსტიტუციის მოთხოვნები — ვიუშრომო კეთილსინდისიერად. აქციური მონაწილეობა მივიღო საზოგადოებრივ საქმიანობაში, განუხრელად დავიცვა შრომისა და საწარმოო დისციპლინა...“

და თითოეული შრომითი კოლექტივიც ხომ სწორედ იმით არის ძლიერი და ჯანსაღი, რომ ასე ფიქრობს და მოქმედებს მისი ყველა წევრი. თავის მხრივ კოლექტივის ძალა და ავტორიტეტი უდიდეს გავლენას ახდენს პიროვნების აღზრდაზე, მის ყოველმხრივ ჩამოყალიბებაზე.

— „ადამიანისათვის კოლექტივი, რომელშიც იგი მუშაობს, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა საბჭოთა პროფკავშირების XVI კონგრესზე, — თავისებური სახლიც არის, ოჯახიც და სკოლაც. სწორედ აქ გადაეცემა ერთი თაობიდან მეორეს პროფესიული გამოცდილება, ოსტატობა, ნამუსიანი შრომის ჩვეა. სწორედ აქ — გულიდან გულში — გადაეცემა ახალგაზრდობას კომუნისტური იდეურობა, რომ მუდამ იყოს წინ, ყველაზე ძნელ, ყველაზე გადამწყვეტ უბნებზე“.

ვინ ჩამოთვლის იმ მოწინავე ადამიანთა გვარებს, რომელთაც თავიანთი პატრიოტული და გონივრული შრომით აღამაღლეს შრომითი კოლექტივის ავტორიტეტი. წინ წასწიეს საერთო საქმე. ვინ მოთვლის იმ შესანიშნავ თაოსნობებს, იმ სასარგებლო გამოგონებებსა და სხვა სიახლეებს, რომლებიც განუწყვეტლივ იბადება და ჩნდება ქალაქად თუ სოფლად. ამასთან, ყველაზე საგულისხმო, ყველაზე ძვირფასი ის არის, რომ ერთი კოლექტივის წარმატება ხალუთარ ჩარჩოებში კი არ ჩერდება, გზას იკვლევს, მიისწრაფის სხვა კოლექტივებისაკენ და საერთო საუნჯედ, საერთო საკუთრებად იქცევა.

აი რატომ არის, რომ ყოველდღიურად სულ ახალ და ახალ საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, სამშენებლო, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციებს, ცალკეულ უბნებს, ბრიგადებსა და რგოლებს კომუნისტური შრომის კოლექტივების საპატიო სახელი ენიჭებათ.

მთელი შრომითი კოლექტივის ჯანსაღი სახე გამოჩნდა რუსთაველ მეტალურგთა შესანიშნავ წამოწყებაში: „სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას — ვუშური გარანტია!“, „ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო — ჩვენ ვგვრცხვენია!“.

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის შესახვედრად გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრებაში სულ უფრო ფართოდ შლის ფრთებს ქ. ქუთაისისა და თბილისის პირველი მაისის რაიონის პარტიული კომიტეტების თაოსნობა — „ვიუშუაოთ“ საიუბილეო 1977 წელს ისე, რომ არ გვეკადეს ჩამორჩენილი შრომელთა კოლექტივები“. საჭიროა ეს თაოსნობა კვლავაც გავრცელდეს, გავრცელდეს იგი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვიურად მცირდება ჩამორჩენილი კოლექტივების რიცხვი, ისინი ჯერ კიდევ არიან როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე, მშენებლობაში, მომსახურების სფეროში...

ყოველივე ამას კი საფუძვლიანი ანალიზი, განსჯა სჭირდება. თითოეული შრომითი კოლექტივიც უნდა შეიქმნას ურთიერთმომთხოვნელობის, ამხანაგური დახმარების ატმოსფერო. სწორედ ასე ოქტეგიან გაერთიანება „ჩარხშენებლის“ კოლეგის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის იმ კომპლექსურ ბრიგადაში, რომელსაც ცნობილი ნოვატორი ხარატი ა. ხარეტონაშვილი ხელმძღვანელობს. აქ წესად აქვთ: თუ ერთმა რომელიმემ გამოიგონა რაიმე სამარჯვე დეტალების უკეთ და სწრაფი დამუშავებისათვის, იგი უმალვე ყველას კუთვნილება ხდება. ახლაც ამ შედეგებებული და მეგობრული კოლექტივის წევრებმა მიზნად დაისახეს, რომ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის დღესასწაულისათვის ბრიგადის ყველა წევრს ხარისხის საკუთარი დამღა ჰქონდეს.

„მე კოლექტივმა აღმზარდა... როგორ დავივიწყებ მას...“ — ასეთი წერილები სულ უფრო და უფრო მატულობს „კომუნისტის“ სარედაქციო ფოსტაში. და აქ იგულისხმება არა მარტო შრომითი, არამედ ზნეობრივი აღზრდაც, რისთვისაც საჭიროა მთელი კომპლექსი ღონისძიებისა, რომლებსაც შრომითი კოლექტივები ახორციელებენ. მაგრამ ეს დიდი ამოცანა წარმატებით გადაწყდება სწორედ იქ, სადაც პარტიული ორგანიზაცია ერთსულოვნად და ნაყოფიერად მოქმედებს, სადაც აშკარად ჩანს კომუნისტთა ავანგარდული როლი. მათმა ყოველდღიურმა ორგანიზატორულმა და აღმზრდელობითმა მუშაობამ უნდა შეაკავშიროს კოლექტივი, დარაზმოს იგი, წინ წარუძღვეს ყველა საქმეში.

კომუნისტი ამხანაგების სიტყვას უდიდესი აღმზრდელობითი ზეგავლენა ექნება. არასოდეს არ ავუაროთ გვერდი ე. წ. მწვავე საკითხებს, ყველგან შევებრძოლოთ მიუკერძოებელი მსჯელობის, აზრთა გულახდილი გაზიარების პირობები. სწორედ გულწრფელი ინდივიდუალური საუბრებით შეძლეს ახალგაზრდა ხელმწიფო სანერგე მეურნეობის კომუნისტებმა, რომ მათი პარტიული ორგანიზაციის წევრი ი. მელიქიძე და ზოგიერთი სხვა უპარტიო მუშაკები უფრო ღრმად ჩაფიქრებოდნენ მდგომარეობას, და თუმცა სპეციალიზაციის გამო მეცხოველეობის ფერმა გაუქმდა, მემინდვრეობაშიც ენერგიულად ეშრომათ. მსგავსი მაგალითები ცოტა როდია.

დიახ, თითოეული პარტიული ორგანიზაციის მოღვაწეობაში მთავარია გულისხმიერება, ამხანაგური ურთიერთობა, დარწმუნების მეთოდის გამოყენება. არავითარი მტკიცება არ სჭირდება იმას, თუ რაოდენ დიდ როლს ასრულებს აღმზრდელობითის მუშაობაში ე. წ. ყურადღების ნიშნები: დაბადების დღის მილოცვა, სამუშაო იარაღების საზეიმოდ გადაცემა, მუშად კურთხევა, შრომითი დიდების სალამების მოწყობა და სხვ. მთელმა ატმოსფერომ კოლექტივში ხელი უნდა შეუწყოს ერთსულოვან მუშაობას. მაგრამ ამ ყურადღებასთან ერთად მტკიცედ უნდა დავიცვათ ურთიერთმომთხოვნელობის პრინციპი, შევქმნათ ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის ატმოსფერო, პრინციპული შეფასება უნდა მივცეთ დისციპლინის, ბიუროკრატიზმს, კრიტიკისადმი არასწორ დამოკიდებულებას.

შემრიგებლობა, ლიბერალიზმი, წაყრუება არანაკლები დანაშაულია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც მეტად გაბედული და პრინციპული ღონისძიებანი განახორციელა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შესასრულებლად, რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს, კომუნისტებს, ჩვენს კადრებს დადენიადგ აფრთხილებს, რომ უკონტროლობა, ნაკლისა და დანაშაულისადმი წაყრუება ახალ და უფრო დიდ დანაშაულ' ბადებს.

სწორედ ეს მითითება დავიწყეს აჭარის ბავშვთა რესპუბლიკური ხაავადმყოფოს კოლექტივმა, მისმა ხელმძღვანელებმა, პირველადმა პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. აქ თავის ნებაზე მიუშვეს კომკავშირელი ექიმი გ. უუფარაძე, რომელმაც დანაშაული დანაშაულზე ჩაიდინა. თავგასული ყუფარაძის ნაცვლად სხვები იტვირთავდნენ თავს მუშაობით.

ყველაფრიდან ჩანს, რომ ხაავადმყოფოს ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დაივიწყეს თავიანთი მოვალეობანი.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში, რომელსაც დღეს გულდასმით, დაკვირვებით, ღრმად და საფუძვლიანად განიხილავს მთელი საბჭოთა ხალხი, ნათქვამია, რომ „უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება განუყოფელია მოქალაქის მიერ თავის მოგალეობათა შესრულებისაგან“

და თუ ყოველი ჩვენგანი კეთილსინდისიერად შეასრულებს იმ მოვალეობებს, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონი ითვალისწინებს, მაშინ თითოეული შრომითი კოლექტივი უფრო ბრძოლისუნარიანი იქნება, წარმატებით განახორციელებს პარტიის XXV კონგრესის მიერ დასახულ საპატიო და პასუხსაგებ ამოცანებს.

საბჭოთა საქართველოს საოქტომბრო მაჯისცემა

ვალდებულება სრულდება

თბილისი. („კომუნისტი“ კორ.). დედაქალაქის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ (დირექტორი ო. ბალანჩივაძე) კოლექტივმა, რომელიც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შრომითს ვახტზე დგას, წარმატებით შეასრულა საიუბილეო წლის იანვარ-ივლისის დავალება.

საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა კომბინატმა 101.6 პროცენტით გაანადოდა. ზეგეგმით გამოშვებულია 830 ათასი მანეთის სხვადასხვა სახის ქსოვილი. რეალიზაციის დავალებას კი 407 ათასი მანეთით გადააჭარბეს.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით აქ მზა შალის ქსოვილების წარმოებამ 123.7 ათასი მეტრით იმატა, ხოლო პირველი ხარისხის პროდუქციია გეგმით გათვალისწინებული 84 პროცენტის ნაცვლად გამოშვებულია 87 პროცენტი.

ნაკლისრი სოციალისტური ვალდებულებით კომბინატს ზეგეგმით 10 თვეში უნდა გამოეშვა 840 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია, ეს ვალდებულება მთ თანტიურად შვიდ თვეში შეასრულეს და 40 ათასი მანეთით მეტი პროდუქცია აწარმოეს, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 6 პროცენტით გაიზარდა.

მოსკოვში' საკავშირო ასორტიმენტის ინსტიტუტში სამხატვრო ტექნიკურ საბჭოზე შვიდმა ნიმუშმა მაღალი შეფასება მიიღო, რომელთა წარმოებასაც კომბინატი მომავალი წლიდან დაიწყებს.

ბრიგადის ფევრეგმა გადაწყვიტეს

ახალციხე. (ხაკ. კორ.). აქტიდაატომიტის მაღაროთა სამმართველოს შორდოს ჭაბურნის ბრიგადის ბრიგადის წევრებმა, რომელსაც შ. ლომიძე ხელმძღვანელობს, ყოველდღიურ დავალებას 115-120 პროცენტით ასრულებენ. შვიდ თვეში მათ ამოიღეს 9300 კილოგრამი ტექნიკური აქატი, რაც გეგმიურზე 300 კილოგრამით მეტია.

ბრიგადის წევრთა გადაწყვეტილებაა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის გეგმის გადამეტებით 10 ოქტომბრის 500 კილოგრამი ტექნიკური აქატი.



საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

კაპიტალურ მშენებლობას — დამკვრელური ზემპი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელზეც შეაჯამეს კაპიტალური მშენებლობის მიმდინარე წლის 7 თვის გეგმის შესრულების შედეგები და განიხილეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმის უთუო შესრულების ამოცანები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, პარტიის საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების მდივნები, სამინისტროებისა და უწყებების, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სახლმშენის, ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელები, საქართველოს სსრ მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროთა ტრესტების მმართველები და პარტიული კომიტეტების მდივნები, მთელი რიგი სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილემ ა. ს. ვინოგრადოვმა.

თათბირზე მოისმინეს პარტიის ზოგიერთი საქალაქო კომიტეტისა და რაიკომის მდივნების, სამინისტროების, უწყებების, სამშენებლო და სამონტაჟო ტრესტების და სამმართველოების. საუბარ მასალათა მრეწველობის საწარმოების, ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელთა გამოსვლები.

მეათე ხუთწლედის მეორე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის თანამედროვე ეტაპზე რესპუბლიკის მშენებელთა ამოცანების შესახებ ილაპარაკა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგემ გ. ა. ანდრონიკაშვილმა.

აღინიშნა, რომ მიმდინარე წლის დამდეგიდან მშენებლებმა დიდი მუშაობა გასწიეს ძირითადი ფონდების დროული ამოქმედებისათვის, კაპიტალურ დაბანდებათა ათვისებისათვის. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულებისათვის. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ბინების, სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, საბავშვო ბაღების, საავადმყოფოებისა და კომუნალური ობიექტების მშენებლობას. ტრესტებისა და სამმართველოების უმრავლესობა ასრულებს დაკისრებულ დავალებებს. მათ დაძლიეს ჩამორჩენა. შეიარაღდნენ რა ისეთი მოწინავე და უკვე ნაცადი მეთოდებით, როგორიცაა ხარისხის მართვის სისტემა, ობიექტების ჩაბარების ორწლიანი დაგეგმვის ორლოვური მეთოდი, ბრიგადული იჯარა, ძირეულ ძვრებს მიაღწიეს რესპუბლიკის სამშენებლო მოედნებზე.

მშენებელთა და მემონტაჟეთა შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის. პარტიულმა ორგანიზაციებმა. რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ ამ შეჯიბრებას, ახალ თვისებრივ დონეზე აიყვანეს პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა თავიანთ კოლექტივებში. განმარტავენ მშენებლებს მათ პასუხსმგებლობას ხალხის წინაშე, მკაცრი კონტროლი დაწესეს იმისადმი, რომ სახელმწიფო დავალებები უთუოდ სრულდებოდეს ყოველ სამუშაო ადგილზე.

ამასთან აღინიშნა, რომ ზოგჯერ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიის ღარღვევის, პროექტებიდან გადახვევის, დაბალი შრომის დისციპლინის, არადამაკმაყოფილებელი საავტორო ზედამხედველობის შედეგად ობიექტებს საექსპლოატაციოდ გადასაცემან ვრცელიკის დარღვევები. ყველა დაბალ დონეზეა შენობების ხარისხი.

არის ნაკლოვანებები საშენ მასალათა წარმოებაში. მაგალითად, მეტლახის საშენ მასალათა კომბინატი მოძველებული ტექნოლოგიური მოწყობილობის გამო ყოველდღიურად გეგმას იღებს ათასობით ტონა აგურს, გურჯაანის აგურის ქარხანაში, სამტრედიის სამენ მასალათა კომბინატში. ბათუმის სახლთსაშენებელ კომბინატში მოწყობილობა ასევე საჭიროებს მოდერნიზაციას. ამ საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი დაბალია და არ აკმაყოფილებს მშენებლებს.

გადაუდებელ დახმარებას საჭიროებს მშენებლობის სამინისტროს № 6 ტრესტი. აქ აკლია ასაწყობი რკინაბეტონის ნაკეთობანი, საღურგლო მასალები, კოქტურა ამწე, სხვა სამშენებლო ტექნიკა და, რაც მთავარია, მუშახელი. ტრესტის მუშაობას საკმაო ყურადღებას არ უთმობენ აფხაზეთის საოლქო და სოხუმის საქალაქო პარტიული ორგანიზაციები. ყოველივე ამის გამო ტრესტის კოლექტივი სისტემატურად ფუშავს გეგმის შესრულებას.

თათბირის მონაწილეებმა ბევრი პრეტენზია წაუყენეს ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაობას.

ამ მხრივ, როგორც აღინიშნა თათბირზე, უყურადღებია ავტოტრანსპორტელთა მუშაობის გამოცდილება, რომლებიც მშენებლობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს ოპერატიულად, ხარისხიანად წყვეტენ. საქმეში მასალების ობიექტებზე გადაზიდვის სუკეთესო ორგანიზაციას წელს ბევრად უწყობს ხელს მომსახურების ხაზის ზუსტი განაწილება რესპუბლიკის ავტოტრანსპორტის სამინისტროს ავტომეურნეობებს შორის, სადისპეტჩერო პუნქტებმა, რომლებიც ყველა ახალშენებლობაზეა შექმნილი, აამაღლა სატრანსპორტო საშუალებების მობილურობა და მანეურობა.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მიმდინარეობაზე უარყოფით გავლენას ახდენს ლითონ-კონსტრუქციებით, ბეტონით, სალიფტო მეურნეობით, ტექნიკით ობიექტების ცუდი უზრუნველყოფა. ამისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ მომარაგების ორგანიზაციებს. აღინიშნა ბევრეთ, რომ ზოგჯერ მოუქნელობას იჩენენ თვით შემკვეთები, რომლებსაც არ სურთ გამოიყენონ ახალი საშენი მასალები, არ ზრუნავენ სამონტაჟო მოედნებზე მათი კომპლექტური მიწოდებისათვის.

მშენებლობის ფართო გაქანება ბევრ მუშახელსაც მოითხოვს. პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა აუცილებლად უნდა ჩამოაყალიბონ ეფექტური ახალგაზრდული სამშენებლო რაზმები, ყოველი ღონე იხმარონ მშენებლობებზე ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად, შექმნან მტკიცე შრომითი კოლექტივები, რომლებიც შეძლებენ ოპერატიულად და ხარისხიანად გადაწყვიტონ ერთიანული საწარმოო ამოცანები. ამასთან დაკავშირებით საჭიროა ძალზე სერიოზული ყურადღება მიექცეს მშენებელი მუშებისათვის საცხოვრო შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა. ძან ალი-მშა, რომ კაპიტალური მშენებლობის წლიური გეგმის წარმატებით შესრულება არა მარტო მნიშვნელოვანი ეკონომიკური, არამედ სოციალურ-პოლიტიკური ამოცანაა, რომელიც ეხება მშრომელთა საარსებო ინტერესებს. მშენებლების, პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა არ დასჯერდნენ მიღწეულ წარმატებებს, კიდევ უფრო გაამრავლონ ისინი, წარმატებით შეასრულონ სერიოზული, რთული და პასუხსაგები ამოცანები, რომლებიც მშენებელთა წინაშე დგას საიუბილეო წელს — მეათე ხუთწლედის მეორე წელს. (საქინფორმი).

400.000 ტონა ჩაისათვის!

აგვისტო ჩაის კრეფის გადამწყვეტი თვეა!

ვძრიფოთ შეუფერხებლად, არ გავაუხეშოთ ჩაის ფოთოლი!

ჩაის ფოთლის კრეფა 10 აგვისტოსათვის (ტონობით)

ავტონომიური რესპუბლიკა, რაიონები	ახალი ვალდებულება	მიღწეული
აფხაზეთის ასსრ	75.000	61.025
აჭარის ასსრ	55.500	47.283
მახარაძე	70.000	57.563
ზუგდიდი	54.000	41.857
წალენჯიხა	25.500	19.432
გეგეჭკორი	21.000	16.195
ლანჩხუთი	19.000	16.323
ჩხოროწყუ	18.500	14.928
ჩოხატაური	11.000	9.347
წყალტუბოს ზონა	10.500	8.315
ცხაკაია	9.800	7.628
ტყიბულის ზონა	8.800	7.356
ხობი	8.000	6.748
წულუკიძე	8.000	6.274
სამტრედია	2.500	1.958
თერჯოლა	1.050	923
ჭიათურის ზონა	980	666
აბაშა	900	673
ვანი	630	537
სულ რესპუბლიკაში	400.660	325.052
მათ შორის		
ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი	80.000	67.560

ივსება სასენაქე ორმოები

დუშეთი. (საკ. კორ.). რაიონის მეურნეობებმა წელს 10.500 ტონა სენაჟი უნდა დაამზადონ. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე 1976 წელს იყო ჩადებული. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თავდადებით შრომობენ ამ პასუხსაგები ამოცანის შესასრულებლად. ბახალეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში უკვე დამზადებულია 2.800 ტონა მწვანე მასა, არაგვისპირის საბჭოთა მეურნეობაში ჩადებულია ათასზე მეტი ტონა. ხოლო მზადდაჭვრის საბჭოთა მეურნეობის საკვებმომავლებლებმა დაამზადეს 1.200 ტონა სენაჟი.

მიმდინარეობს თივისა და ნამჯის დაგროვება. ბახალეთელმა მეცხოველეებმა ზამთრისათვის უკვე მოამარაგეს 115 ტონა თივა და რამდენიმე ათეული ტონა ნამჯა, რომლისგან დამზადებენ „ყუთიან“ საკვებს — „სალომნაჟს“. ამას გარდა, მეურნეობებში ჩაიდება 2.835 ტონა სილოსი.

„პრავდის“ ფურცლებზე

ქვეყნის უანებში აიხიდან დაისამდე ჩქეფს დაძაბული მუშაობა, — წერს გაზეთი მოწინავე წერილში („პურის უანის მშრომელებს“). პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც საიუბილეო წლის დიდი მოსავლისათვის ბრძოლის მონაწილეებს რაზმავენ დამკვრელური შრომისათვის, სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის, უნდა იზრუნონ, რომ ხელშემწყობი პირობები შეუქმნან ხაამისოდ.

ფაშიზმის წინააღმდეგ უდიდესი, გაფთრებისა და მსხვერპლის თვალსაზრისით ჭეროანახტალი ბრძოლა დოკუმენტურ ფილმში „ჯარისკაცის გვერდით“ (დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის ნაწარმოები, სცენარისტი — კ. სლავინი, რეჟისორი — ი. გელეანი) ნაჩვენებია, როგორც იტყვიან, მოწმის თვალით — ფრონტელი ოპერატორებისა და სამხედრო კორესპონდენტების თვალით. ეკრანის ოსტატებმა ფსიქოლოგიურად დაგვიახლოვეს ომის ამბები, წერს გაზეთის ფურცლებზე არმიის გენერალი პ. ბატოვი, ალბათ ამიტომ არის, რომ ნაცნობი თუ სრულიად უცნობი, მაგრამ ჩვენთვის ესოდენ ძვირფასი სფერონდო კინომატიანის მასალას ისე ვუყურებთ, თითქოს გუშინ იყოს გადალებული.

დახმარების შესახებ წერილებზე მუშაობის პროცესში ზოგჯერ ვხვდებოდი ხოლმე ფაქტებს, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლა ძალიან ჭირს. წერს სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის განხილვასადმი მიძღვნილ გვერდში **მარიეტა შაგინიანი.** მაგალითად: უფროსს, თავის მაღალ პოსტზე პატიოსან ადამიანს სამართლიანი გადაწყვეტილება გამოაქვს, ხელს აწერს, ოფორმებს და ჩვეულებრივ უშვებს. იქ ეს საბუთი საუწყებო არხის ქაღალდის ნაკადში მოექცევა და სადღაც შეფერხდება, შემდეგ სადღაც ქვეშ მოექცევა, შემდეგ... ალარ არსებობს, დანიშნულების ადგილამდე ვერ მივიდა, სადღაც გაიჩხრეკა. და თუ მომჩივანი კვლავ მიდის ამავე უფროსთან და კვლავ ჩივის, კვლავ თხოულობს, ათიდან ერთი შემთხვევაში გაოცებულნი, გაოგზანებულნი, უკმაყოფილონი ხდებიან, უამრავი სამუშაოს გამო მოუცლელმა უფროსმა ხომ ყველაფერი იღონა, ხელიც მოაწერა სამართლიან გადაწყვეტილებას. მაგრამ რას გადაეკიდნენ. რატომ უშლიან ხელს? მაგრამ მოხდა ის, რომ ჩვენ გვავიწყდება, გვავიწყდება ლენინის საყვარელი სიტყვა — **შემოწმება.** როგორ მოითხოვდა ლენინი ამ შემოწმებას? როგორ ადევნებდა თვალს, რომ საჭირო გადაწყვეტილება ბოლომდე, შესრულებამდე შეიმოწმებინათ, ენდა იყოს ინსტანცია, რომელიც პასუხს აგებს იმავე ავტორიტეტულ დაწესებულებაში შემოწმებისა და შესრულებისათვის.

ПРАВДА

10 აგვისტო

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო სამძიმარს უცხადებენ საავტომობილო ქარხნის დროს დალუპულ ვოკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლის „რუსთავის“ წევრთა ოჯახებს.

გრანდიოზული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ძ. მ. იაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპიკერად სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახვითი ხელოვნების ძვირფას ნაწარმოებთა საკუთარი კოლექციის საფუძველზე ქ. თელავში სამხატვრო გალერეის ორგანიზაციის პატრიოტული თაოსნობისათვის ქეთევან მერაბის ასული იაშვილი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპეციალური სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. გილასვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი, 1977 წლის 10 აგვისტო.



ახლახან თელავში გაიხსნა სურათების გალერეა. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. ამ გალერეის საფუძველი შეადგინა ჭანმ ქეთევან იაშვილის პირადმა კოლექციამ, რომელიც უსასყიდლოდ გადაეცა სახელმწიფოს.

94 წლის თელაველმა, რომელიც ახალგაზრდობიდანვე აგროვებდა სახვითი ხელოვნების ნიმუშებს, შეკრიბა ორასზე მეტი ორიგინალი — რუსეთისა და დასავლეთ ევროპის უთავლესი ოსტატების ნიკოლაური ნაწარმოებები. მათ შორისაა ვ. პოლენოვის, ი. აივაზოვსკის, ი. კრამსკოის, ფ. რუბოს, ვ. მაკოვსკის, ვ. ბაბაშვილის, უცნობი პოლანდიელი და იტალიელი ოსტატების ნამუშევრები და სხვ.

ჩემი სიცოცხლის მიზანი იყო ჩემი ხალხის, ჩემი სამშობლოს სამსახური. და თუ ეს საჩუქარი ერთგვაროვად მაინც ადასტურებს სამშობლოსადმი ჩემს უსაზღვრო სიყვარულს, თავს ბედნიერ ადამიანად ჩავთვლი. — ამბობს ქეთევან იაშვილი.

მაღლობის ნიშნად თელაველებმა ქეთევან იაშვილი ქალაქის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს (საქინფორმი).

მეგობრობის ერთთვიური

საბჭოთა კავშირში დაიწყო საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის ერთთვიური. რომელიც ეძღვნება ინდოეთის დამოუკიდებლობის 30 წლისთავს. მის ფარგლებში გაიმართება მეგობრობის საღამოები ჯრებები, ლექციები. სამეცნიერო კონფერენციები. მოიწყობა გამოფენები. უჩვენებენ კინოფილმებს. მოსკოვის მეგობრობის სასლში გაიხსნა გამოფენა „ინდოეთი. წარსული და აწმყო“. მასში წარმოდგენილია ინდოეთის ფოტოსურათები ნამუშევრები. (საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო სამძიმარს უცხადებენ

ჩვენი ცხოვრების პირითადი კანონი

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

ზუგდიდის ფაიფურის ქარხანამ, რომელიც ერთადერთია რესპუბლიკაში და ორი წელიც არ არის, რაც მწყობრში ჩადგა, პირველი პროდუქციი — რამდენიმე დასახელების ფაიფურის ნაწარმი უკვე მიაწოდა მომხმარებელს. ქარხნის ახალგაზრდული კოლექტივის შრომითი ენთუზიაზმი და წარმატებები ადევე ოთხო გაიზარდა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საყოველთაო-სახალხო განხილვის დღეებში. ზუგდიდელი მეფაიფურეები ინტერესით განიხილავენ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს.

ახლახან ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით ქარხანაში გაიმართა ღია პარტიული კრება, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ვადაჯარია, საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. კვარაცხელია და მშრომელთა დეპუტატების ზუგდიდის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ა. ჭუჭულია. კრების მონაწილეებმა განიხილეს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი და აქედან გამომდინარე ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები.

მომხსენებელმა, ქარხნის დირექტორმა მ. დემურიამ და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტი საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში შეუ[illegible] როგორც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრების ერთ-ერთ ნიშანდვეულოვანესი პოლიტიკური მოვლენა. რომ მისი მიღება ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს შემდგომი განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპია.

კრებაზე აღინიშნა, რომ პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა ქარხნის კოლექტივმა მჭიდროდ დაუკავშირა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სამზადისს. კომონისტებმა თქვეს, რომ საიუბილეო წელს ქარხნის კოლექტივმა თავი დაიფინა ერთგვარ სიძნელეებს. ექსპლოატაციაში შესვლის პირველი წლის ჩამორჩენას, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ამჟამად ქარხანაში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა სრულად გამოყენებას, რეზერვების აღებას, პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვას, შრომის სწორ ორგანიზაციას, ახლა ეს სიძნელეები ძირითადად დაძლეულია. კოლექტივი გამართულად შეშობს და ვალებსაც წარმატებით ასრულებს, იბრძვის ნაკისრი ვალდებულებების პირნათლად განაღდებისათვის. მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა თქვეს, რომ ეს დადებითი ცვლილებები, უპირველეს ყოვლისა, ქარხნის მშრომელთა ავანგარდის — პარტიული ორგანიზაციის დამსახურებაა. ამასთან მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვასთან დაკავშირებულ მთელ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ შუშაობას უფრო აქტიური და მიზანსწრაფული ხასიათი მიეცეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმმა, გაანაცხადეს ინვირნებმა ე. მილოვანოვამ და ლ. კორტავამ, საბჭოთა ხალხს ახალი ამოცანები დაუსახა. კონსტიტუციის პროექტში წინა პლანზე არის წამოწეული შრომითი კოლექტივების როლი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, წარმოების მართვაში. ჩვენი მშრომელები ამაყობენ პროექტით მინიჭებული უფლებებით, მაგრამ კარგად გვესმის, რომ შრომის უფლება განუყოფელია შრომის მოვალეობისაგან. ამიტომაც ყოველი საბჭოთა მოქალაქე ვალდებულია იზრუნოს მართვის პროგრესული ხერხების დანერგვაზე, ახალი სიმძლავრეების ამოქმედებაზე, დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცებაზე. მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის ამაღლებაზე... ამ მხრივ კი ქარხანაში ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი.

ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვას მშობლიური საწარმოს საკითხები, მომავლის პერსპექტივებზე სკა-ბაასი დაუკავშირეს ავრეთვე მასის დამამზადებელი და ოუმელების საამქროების მუშაობა. ბენდელიანმა და რ. ბარამიამ, კომკავშირის კომიტეტის მდივანმა რ. კილასონიამ, ქარხნის სახალხო კონტროლის მეთოთრი ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილემ დ. ლაშაიამ, საერთო საცხოვრებლის ეფროსმა ი. ბაკიდუამ, ფორმირების საამქროს ეფროსმა ი. ანდრიევსკიმ და სხვებმა. აი რა თქვა ზოგიერთმა მათგანმა:

— გულახდილად ვიტყვი, — ამბობს დ. ბენდელიანი, — ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა პროექტის მე-13 მუხლმა, რომელშიც ნათქვამია, რომ „საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდის, ხალხისა და თითოეული საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესების წყაროა საბჭოთა ადამიანების თავისუფალი შრომა". ეს მუხლი თავისუფალი შრომის მადიდებელი ჰიმნია, რომელიც ადფრთოვანებს და სტიმულს მატებს ყოველ ჩვენგანს. პროექტში ხაზგასმულია, რომ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანი მიზანია სრულად დაიკმაყოფილოს საბჭოთა ადამიანების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი. ამისათვის საჭიროა შრომის ნაყოფიერების ზრდა. წარმოების ეფექტიანობისა და შუშაობის ხარისხია ამაღლება. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მშრომელთა შემოქმედებითი აქტიურობის ამაღლებით, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით, წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გაბატონება დაჩქარებით. ჩვენს საამქროში კი შრომის ნაყოფიერება დაბალია, რაც იმის შედეგია, რომ ჯერ კიდევ სრულად არ არის გამოყენებული მოწყობილობა-დანადგარები და ნაკადური ხაზები, რომლებმაც ხელს ამძიმე შრომა უნდა შეცვალონ. შრომის ნაყოფიერების დაბალი დონე განპირობებ იმითაც, რომ ზოგჯერ ირღვევა ტექნოლოგიური პროცესი, რაც ქარხანას ზვირად უჯდება.

— ქარხნის ახალგაზრდულ-კოლექტივი კოლექტივი, — თქვა რ. კილასონიამ, — ყოველმხრივ ცდილობს აამაღლოს შრომითი ეფექტიანობა და პროდუქციის ხარისხი. მაგრამ შუშაობაში კვლავ ხელს გვიშლის ნედლეულით ცუდად მომარაგება, რაც მაჭანაგდანადგარებისა და მუშახელის მოცდენას იწვევს, არ გეყოფნის სპეციალისტები, ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქცია ჯერ-ჯერობით ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს...

მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ ქართველ მშრომელები, რომლებიც ერთსულოვნად იწონებენ ჩვენი ახალი კონსტიტუციის პროექტს თითოეულ თავსა და მუხლს, საიუბილეო წლის გეგმა-ვალდებულების შესასრულებლად კიდევ უფრო გააქტიურებენ შუშაობას, გააუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს და ახალი წარმატებებით შეიკრებიან დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს.

გ. ნოდია.

„კომუნისტის" საკ. კორ.

მილიონთა მოწონება

დელეგატის სიტყვა

